MES 1 21 0000504644

31/05/2021

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N320701/01/44-5
(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და შპს ოთ-მა ფურნიტურე-ს შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებულ N320701/01/44 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)
CON210000007-00001

ქ. თბილისი,

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ფუნქციათა შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ოთ-მა ფურნიტურე (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის იაგორ ნერგაძის სახით, მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-12 მუხლის, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის პირველი მოადგილის საკურატოროს (პროექტების მართვის, საქმისწარმოების და ლოჯისტიკის დარგში) 2021 წლის 28 მაისის N495456 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს ოთ-მა ფურნიტურე ახორციელებს სასკოლო მერხებისა და სკამების მიწოდებას, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2 006 472.00 ლარს. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განსაზღვრულია ორ ეტაპად: პირველი ეტაპი, 18 095 კომპლექტი - არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 მაისი, საჯარიმო სანქციების გამოყენებით და მეორე ეტაპი, 8 065 კომპლექტი - არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 აგვისტო.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის პირველი მოადგილის საკურატოროს (პროექტების მართვის, საქმის წარმოების და ლოჯისტიკის დარგში) 2021 წლის 495456 სამსახურებრივი ბარათით დგინდება, რომ მიმდინარე წლის 27 მაისის N492216 წერილით მიმწოდებელმა კომპანიამ მომართა სააგენტოს და ითხოვა მერხებისა და სკამების მოწოდების ვადის გაზრდა საჯარიმო სანქციების გამოყენებით.

სააგენტოს შესაბამისმა სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია მერხების მიწოდების პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული ვადის გაზრდა მიმდინარე წლის 01 ივნისიდან 30 კალენდარული დღით, 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მიმწოდებელ კომპანიას მხარეთა შორის 2021 წლის 17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების დანართი N2-ით გათვალისწინებული მერხების მიწოდების პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული ვადა გაეზარდოს 30 კალენდარული დღით, 2021 წლის 01 ივნისიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით, საჯარიმო სანქციების გამოყენებით.

2. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

3. შეთანხმება შედგენილია ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ერთი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დირექტორის ფუნქციათა შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი

ხელმოწერა

შპსო თ-მა ფურნიტურე-ს დირექტორი
იაგორ ნერგაძე

Iagor Nergadze

Digitally signed by Iagor Nergadze
Date: 2021.05.31 20:18:39

ხელმოწერა

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის პირველი მოადგილე
შალუტაშვილი გიორგი

MES 1 21 0000495456

28/05/2021

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის ფუნქციათა შემსრულებელს
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ამავე სააგენტოს პროექტის მენეჯერის
თამარ ნაცვლიშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გიორგი,

მიმდინარე წლის 27 მაისს სააგენტოში შემოსულია შპს "ოთ-მა ფურნიტურეს" N492216 წერილი
17 მარტს გაფორმებული N320701/01/44 ხელშეკრულების ფარგლებში მერხებისა და სკამების მოწოდების ვადის საჯარიმო სანქციების გამოყენებით გადავადების თაობაზე.

შესაბამისად მიზანშეწონილია, კომპანიას საჯარიმო სანქციების გამოყენებით გადაუვადდეს მერხებისა და სკამების პირველი ეტაპის მოწოდება 30ივნისის ჩათვლით (მიბმული ფაილის სახით იხილეთ კორექტირებული ცხრილი)

გთხოვთ, დაავალოთ შესასაბანმის სამსახურს შეთანხმების გასაფორმებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

პატივისცემით,

პროექტის მენეჯერი
ნაცვლიშვილი თამარ